



**USAID**  
 ამერიკელი ხალხისგან

**ISET**

International School of Economics at TSU  
 Policy Institute



## რეფორმეტრი

# კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასებითი ანგარიში

ივლისი, 2023

**USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის საგრანტო აქტივობა: რეფორმების პროგრესის მონიტორინგის სისტემა „რეფორმეტრის“ მხარდაჭერა**

შენიშვნა: წინამდებარე ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. ანგარიშის შინაარსი შესაძლოა არ წარმოადგენს USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**სარჩევი**

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შესახებ..... 3

რეფორმეტრის მეთოდოლოგია ..... 4

რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შეფასება..... 5

დანიტერესებულ მხარეთა გამოკითხვა..... 11

საჯარო-კერძო დიალოგი ..... 12

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შეფასების ინდიკატორები..... 14

1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ..... 14

1.1. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება ..... 16

1.2. ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება ..... 17

2. კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი  
ქაღალდებისათვის ..... 18

2.1. ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება ..... 19

დანართი N1. დანიტერესებულ მხარეთა კითხვარი ..... 21

დანართი N2. კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის საჯარო-კერძო დიალოგზე  
წარმოდგენილი პრეზენტაციები..... 22

## კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შესახებ

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასება დაკავშირებულია კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2028 წლების სტრატეგიით დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებთან. სტრატეგია მიზნად ისახავს, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ასევე კაპიტალის სტიმულირებას და მობილიზებას ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის. სტრატეგიის ხედვის მიხედვით, 2028 წლისთვის საქართველოს კაპიტალის ბაზარი რეგიონში მოწინავე კაპიტალის ბაზრად უნდა ჩამოყალიბდეს.

სტრატეგიის თანახმად, კაპიტალის ბაზრის განვითარების მთავარ გამოწვევას ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინვესტორთა ბაზის განვითარების დაბალი დონე წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალის ბაზრის მდგომარეობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ფაქტორს ეკონომიკის ზომა და კორპორატიული სექტორის ფინანსური მაჩვენებლები წარმოადგენს. თავის მხრივ, ეკონომიკის ამჟამინდელი ზომა ზღუდავს ფასიანი ქაღალდების ემისიებს. დღეისათვის ბაზარზე როგორც ფინანსური ინსტრუმენტების ემისიების, ასევე ინვესტორთა ნაკლებობა ვლინდება. ემისიების უმსხვილესი ნაწილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოდის, რომლის მეორადი ბაზარი შედარებით არააქტიურია. ამასთანავე, სააქციო ფასიანი ქაღალდების ბაზარი მცირე ზომითა და დაბალი ლიკვიდურობით გამოირჩევა. დამატებით, მცირე და ნაკლებად დივერსიფიცირებული ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორების ბაზა. უცხოელი ინვესტორები, შეზღუდული აქტივობით, ხოლო საცალო ინვესტორები, ძირითადად უცხოურ ვალუტაში დენომინირებული პროდუქტისათვის უპირატესობის მინიჭებით გამოირჩევიან. კაპიტალის ბაზრის პატარა მოცულობა და დაბალი ლიკვიდურობა ასევე განპირობებულია ფინანსურ სექტორში კომერციული ბანკების დომინანტური მდგომარეობითა და მაღალი დოლარიზაციის მაჩვენებლებით.

წარმოდგენილი დაბრკოლებების დაძლევის მიზნით, შემუშავდა საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის შემუშავებაში, საჯარო სექტორიდან მონაწილეობდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი. რეფორმის განხორციელების პროცესში ასევე ჩართულები არიან სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და სსიპ საპენსიო სააგენტო.

## რეფორმების მეთოდოლოგია

რეფორმების ფარგლებში, შერჩეული რეფორმების შეფასებისათვის გამოყენებულია სამი ძირითადი ინსტრუმენტი:

1. სამთავრობო კვლევა ხარისხობრივი გამოკითხვის გზით აფასებს რეფორმის განხორციელების პროცესში რეფორმის დამწერგავი სამთავრობო უწყებების საქმიანობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: საკანონმდებლო ჩარჩო; ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი; ინსტიტუციური მოწყობა; კომპეტენციის გაძლიერება. აღნიშნული გამოკითხვა 0-100% შუალედში ზომავს რამდენად ახლოს არიან რეფორმის დამწერგავი უწყებები რეფორმის მიერ განსაზღვრული ამოცანების შესრულებასთან.

2. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის ფარგლებში რეფორმის დაინტერესებული მხარეები შეფასებას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახორციელებენ: რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა; რეფორმის სფეროში არსებული ვითარება; რეფორმის დანერგვაში მიღწეული პროგრესი; რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. თითოეული კომპონენტი 10 ქულიან შკალაზე ფასდება (იხ. დანართი N1 - დაინტერესებულ მხარეთა კითხვარი).

3. დამატებით, რეფორმის პროგრესის შესაფასებლად გამოყენებულია რეფორმის მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ეკონომიკური ინდიკატორები.

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შეფასება მოიცავს ზემოთ ხსენებულ სამივე მიმართულებას. სამთავრობო კვლევა, 2023-2024 სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების შეფასებაზე იყო მიმართული<sup>1</sup>.

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის პირველი შეფასებითი შეხვედრა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატში 2023 წლის 2 ივნისს გაიმართა. შეხვედრაზე, რეფორმის მიმდინარეობის პროგრესის შეფასების მიზნით, გაიმართა დაინტერესებულ მხარეთა ანონიმური გამოკითხვა. რაც შეეხება, რეფორმის მოსალოდნელი შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულ ეკონომიკურ ინდიკატორებს, ისინი სტრატეგიაში განსაზღვრულ ინდიკატორებს ეფუძნება.

<sup>1</sup> სამთავრობო კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია „რეფორმების“ ვებგვერდზე.

## რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შეფასება

რეფორმის მიმდინარე და სამომავლო აქტივობები კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2028 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის საფუძველზე განისაზღვრა. დაგეგმილი ცვლილებები დაჯგუფებულია 2 მიზნისა და 6 ამოცანის მიხედვით.

დაგეგმილი აქტივობების პირველი მიმართულება, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასთან დაკავშირებულ ამოცანებს მოიცავს:

- ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება;
- ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება;
- სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე.

მეორე მიმართულება კი, ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის კაპიტალის სტიმულირებასა და მობილიზებასთან დაკავშირებულ ამოცანებს:

- ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება;
- პროფესიონალებისა და საცალო ინვესტორების ჩართულობის გაზრდა;
- ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე უცხოური ინვესტიციების ზრდა.

2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი აქტივობებისა და სამთავრობო კვლევის ნაწილში განსაზღვრული რეფორმის შეფასების ოთხი ძირითადი კომპონენტის (საკანონმდებლო ჩარჩო, ინსტიტუციური მოწყობა, ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი, კომპეტენციების გაძლიერება) გათვალისწინებით, ცხრილებში 1 და 2 წარმოდგენილია ინფორმაცია რეფორმით განსაზღვრული ძირითადი აქტივობების, შესრულების ვადისა და პასუხისმგებელი უწყებების შესახებ.

### ცხრილი 1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ამოცანა	აქტივობა	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი უწყება
<b>საკანონმდებლო ჩარჩო</b>			
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	სეკიურიტიზაციის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო პროექტის მომზადება და მიღება	2023 (I)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	საჯარო ობლიგაციების საგადასახადო სტიმულირების გახანგრძლივების მექანიზმის საჭიროების ანალიზის ჩატარება და შესაბამისი შედეგების გახანგრძლივება	2023 (I)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ადგილობრივი ობლიგაციების	მაღალი რისკების შემცველი ფინანსური ინსტრუმენტების (Short selling) და ფასიანი ქაღალდების	2024 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი

ბაზრის განვითარება	გასესხების რეგულირების შემუშავება და დანერგვა		
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, სავაჭრო ადგილების (ბირჟების) რეჟიმისა და კონცენტრაციის წესების გადახედვა და შესაბამისი რეგულაციების მიღება	2024 (III)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო პროექტის მომზადება და მიღება	2023 (I)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების სტიმულირებისთვის საგადასახადო ჩარჩოს შემუშავება და მიღება	2023 (III)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	ორმაგი განთავსება/დეპოზიტარული ხელწერილის ჩარჩო რეგულაციის შემუშავება და მიღება	2024 (I)	საქართველოს ეროვნული ბანკი
სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე	საჯარო კორპორაციების კანონის შემუშავება და მიღება	2023 (III)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
<b>ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი</b>			
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	სტანდარტიზებული ონლაინ სისტემის შემუშავება და საპილოტედ დანერგვა ობლიგაციების საჯარო შეთავაზების ეტაპობრივი განთავსებისათვის (Shelf-registration)	2024 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	საზიარო ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის დანერგვა დერივატივის კონტრაქტებისთვის	2023 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი
<b>ინსტიტუციური მოწყობა</b>			
ადგილობრივი ობლიგაციების	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წინასწარი და ვაჭრობის შედეგად	2023 (II)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბაზრის განვითარება	დადგენილი ფასების საჯაროდ გამოქვეყნება		
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	საცალო ინვესტირებისათვის ობლიგაციების ბაზრის განვითარების მიდგომისა და სავაჭრო ადგილის (ბირჟის) განსაზღვრის მიზნით კონცეფციის შემუშავება	2023 (III)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	მწვანე/გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი/გენდერული ობლიგაციების გაიფლაინების შემუშავება	2024 (II)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	საქართველოს საფონდო ბირჟის (GSE-ის) ორგანიზაციული, კორპორატიული მმართველობის და მფლობელობითი სტრუქტურის შეფასება და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი	2024 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მხარდასაჭერად, კერძო კაპიტალის ინსტრუმენტის შემუშავება	2023 (III)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	კაპიტალის ბაზარზე რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმების დანერგვა	2024 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი
სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე	სახელმწიფო საწარმოების მიერ კორპორატიული განზრახულობის განაცხადის (Statement of Corporate Intent) შემუშავება	2023 (I)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
<b>კომპეტენციის გაძლიერება</b>			
ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველისათვის ბაზრის მანიპულირების და სხვა შესაბამისი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების უნარების გაძლიერება ტრეინინგების ჩატარების საშუალებით	2024 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი

ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	ინვესტორთა დაინტერესების მიზნით, სავაჭრო ადგილებზე (ბირჟებზე) პირველადი საჯარო შეთავაზებების სტიმულირება საინფორმაციო ღონისძიების ჩატარებით	2023 (IV)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	დერივატივებისა და სასაქონლო ბაზრის განვითარების შეფასების ანალიზის ჩატარება და გამოქვეყნება კონსულტაციებისთვის	2024 (I)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**ცხრილი 2. კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის**

ამოცანა	აქტივობა	შესრულების ვადა	პასუხისმგებელი უწყება
<b>საკანონმდებლო ჩარჩო</b>			
ინსტიტუციური ინვესტირების ბაზის განვითარება	ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს პროექტის მომზადება და მიღება	2023 (I)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ინსტიტუციური ინვესტირების ბაზის განვითარება	საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო მანდატის გაფართოება დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონპროექტისა და მარეგულირებელი ჩარჩოს მომზადებითა და მიღებით	2023 (I)	სსიპ საპენსიო სააგენტო
ინსტიტუციური ინვესტირების ბაზის განვითარება	მარეგულირებელი აქტების შემუშავებითა და გამოცემით, ფართო სექტორული სენდბოქსის რეჟიმის იმპლემენტირება ფინტეკებისათვის, ღია ფინანსების ხელშესაწყობად	2023 (III)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / საქართველოს ეროვნული ბანკი
პროფესიონალებისა და საცალო ინვესტირების ჩართულობის გაზრდა	დაგროვილი კაპიტალის მართვის ჩარჩოს შექმნა ტრასტების შესახებ ჰააგის კონვენციასთან მიერთებით და საოჯახო ფონდების (ე.წ. family offices) დამკვიდრების გზით	2023 (I)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო



<b>ინსტიტუციური მოწყობა</b>			
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	კონკურენტუნარიანობის წახალისების შეფასების ინსტრუმენტის დანერგვა პროგრამებისა და საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების პროცესებში	2023 (IV)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	მეორად ბაზარზე ღია ბაზრის ოპერაციების მექანიზმების გადახედვა	2023 (IV)	საქართველოს ეროვნული ბანკი
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	საინვესტიციო ფონდების ბაზრის სტიმულირებისათვის მხარდაჭერი ინსტრუმენტის შემუშავება ვენჩურული კაპიტალისა და კერძო კაპიტალის ფონდების დაფუძნებისათვის	2023 (IV)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების შექმნა და გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე	2024 (IV)	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდი
პროფესიონალებისა და საცალო ინვესტიციების ჩართულობის გაზრდა	საცალო ინვესტიციების ჩართულობის გაზრდისათვის ბაზრის შუამავლების, ფინანსური მრჩეველების და სადაზღვეო ბროკერების გაერთიანების ჩამოყალიბება	2024 (III)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
<b>კომპეტენციის გაძლიერება</b>			
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	კაპიტალის ბაზრის კონკურენციის კვლევის ჩატარება	2023 (II)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	მიზანშეწონილობის ანალიზის ჩატარება endowment-ის ტიპის საინვესტიციო ფონდების განხორციელებისათვის	2024 (II)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ბაზრის მონაწილეებისთვის დერივატივების/სასაქონლო ინსტრუმენტების და რისკების	2024 (II)	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /

	მართვის ინსტრუმენტების ირგვლივ		საქართველოს ეროვნული ბანკი
ინსტიტუციური ინვესტიციების ბაზის განვითარება	ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ზედამხედველისათვის ბაზრის მანიპულირების და სხვა შესაბამისი აღსრულების ღონისძიებების განხორციელების უნარების გაძლიერება	2024 (IV)	სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
პროფესიონალებისა და საცალო ინვესტიციების ჩართულობის გაზრდა	საცალო ინვესტიციებში ცნობიერების ასამაღლებლად FinEdu-ს პლატფორმაში კაპიტალის ბაზრის სეგმენტის დამატება	2023 (III)	საქართველოს ეროვნული ბანკი
პროფესიონალებისა და საცალო ინვესტიციების ჩართულობის გაზრდა	სახელმწიფო ობლიგაციების ბენჩმარკისა და საინვესტიციო შემოსავლის პოპულარიზაცია ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით	2023 (III)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
უცხოური ინვესტიციების გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე	მომხმარებლისთვის მოსახერხებელი საგადასახადო სახელმძღვანელოს შემუშავება და გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებისთვის და სხვადასხვა საგადასახადო რეჟიმებისთვის	2023 (III)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
უცხოური ინვესტიციების გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე	როდუნების მოწყობა და პოტენციურ ინვესტორთა სიის შედგენა და მათთან შემდგომი კომუნიკაცია	2023 (IV)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

რეფორმის ხარისხობრივი კვლევის საფუძველზე, გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპისთვის მნიშვნელოვან ცვლილებას სეკიურიტიზაციის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავება წარმოადგენს. „სეკიურიტიზაციის შესახებ“ კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და მიღებულია პირველი მოსმენით. კანონპროექტი მიზნად ისახავს, სეკიურიტიზაციის გარიგებასთან, ჩართულ მხარეებთან და გარიგების შედეგად გამოშვებულ სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტთან დაკავშირებული სამართლებრივი და

ფინანსური საკითხების მოწესრიგებას. სეკიურიტიზაციის გარიგება, კომპანიებისათვის დამატებითი კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს. ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, სტრატეგიის მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების სტიმულირებისთვის საგადასახადო ჩარჩოს შემუშავება.


რეფორმის სხვა მიმართულებების განხორციელება ეტაპობრივად, 2023-2028 წლების პერიოდში იგეგმება. ამ ეტაპისათვის, გაწერილია 2023-2024 წელს დაგეგმილი აქტივობები. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ, საჭირო იქნება სამთავრობო კვლევის ფარგლებში, რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასებისას იმ მიმართულებების გათვალისწინება, რომელიც არ არის მოცემული 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმებში.

### დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმაზე გამართულ საჯარო და კერძო დიალოგის შეხვედრაზე დაინტერესებული მხარეების (რეფორმის განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების გარდა) ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე, რეფორმა 10 ქულიდან 6.31 ქულით შეფასდა, რაც შეხვედრის მონაწილეების მიერ რეფორმის მიმდინარეობის ზომიერ შეფასებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 1-ში წარმოდგენილია დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც რეფორმის შინაარსი და ადეკვატურობა, ასევე რეფორმის პროგრესი დადებითად შეფასდა. არსებული ვითარებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართულებით კი ზომიერი შეფასება დაფიქსირდა.

**დიაგრამა 1. დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შეფასებაზე**



## საჯარო-კერძო დიალოგი

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შესახებ პირველი, საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ფორმატის, შეხვედრა 2023 წლის 2 ივნისს გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, ინვესტორთა საბჭოს, ოპერაციითა კვლევის ინსტიტუტის, აზიის განვითარების ბანკის, საქართველოს საფონდო ბირჟის, საქართველოს რეგისტრატორის, საქართველოს ბანკის, გალტ ენდ თაგარტის, TBC კაპიტალის, PMCG-ს, საქართველოს საბანკო ასოციაციის, ფორსაით ინვესტმენტ გრუპის, კაუკასუს კაპიტალის, კრისტალის, USAID/საქართველოს, USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამისა და USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის წარმომადგენლებმა.

ღონისძიების გახსნითი ნაწილის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და საპენსიო რეფორმის დეპარტამენტის უფროსმა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის პროგრესის შესახებ ისაუბრა. „რეფორმების“ გუნდმა კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის პროგრესის შეფასების ინდიკატორები წარადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, სეკიურიტიზაციის სამართლებრივი ჩარჩოს ძირითადი მიმართულებები განიხილა, ოპერაციითა კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა კი სეკიურიტიზაციის რეფორმის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგები წარმოადგინა. დამატებით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების განვითარების მიმართულებებზე ისაუბრა.

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის დაინტერესებულმა მხარეებმა სექტორში არსებული მდგომარეობა, რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები და მოსალოდნელი შედეგები განიხილეს. ანგარიშის მოცემულ ნაწილში შეჯამებულია PPD ღონისძიებაზე გამოთქმული მოსაზრებები:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა, გიორგი გურგენიძემ სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები და მათი მიღწევის გზები განიხილა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობისათვის ადგილობრივი ობლიგაციებისა და სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელობას. დამატებით განხილვის საგანს ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სექტორის პროდუქტიულობის ზრდის მიმართულებით, ყურადღება საფინანსო სექტორში, საბანკო სექტორის მნიშვნელობის შემცირების საჭიროებაზე გამახვილდა. ამ მიმართულებით, ხაზი გაესვა არასაბანკო სექტორისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდისათვის, სეკიურიტიზაციის საკანონმდებლო ჩარჩოს მნიშვნელობას. მომხსენებელმა, ასევე განიხილა ინსტიტუციური ინვესტორების მოზიდვის მნიშვნელობა, კაპიტალის წყაროების დივერსიფიცირებისა და საბანკო სექტორზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით. ამ მიმართულებით, ეფექტიან მექანიზმად ნებაყოფლობითი საპენსიო რეფორმის ჩარჩო დასახელდა. გიორგი გურგენიძემ, საპენსიო რეფორმის ახალ სვეტში მონაწილე პირებისათვის საგადასახადო შეღავათების საჭიროებაზე ისაუბრა.

- მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რეფორმის გრძელვადიან მიზანს საქართველოს საერთაშორისო რეიტინგებში ინტეგრირება წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ინვესტიორების მოზიდვას საქართველოში. მომხსენებლის განცხადებით, ამ მიმართულებით მიზნის მიღწევა უფრო მარტივი ობლიგაციების ბაზარზე იქნება. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, ყველაზე დიდ გამოწვევას, სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება წარმოადგენს.
- რეფორმის მიმდინარეობისა და შედეგების შეფასების ეკონომიკური ინდიკატორების განხილვის ნაწილში, გიორგი პაპავამ „რეფორმეტრის“ პროექტის მენეჯერმა, სახელმწიფო და კერძო ობლიგაციებისა და სააქციო კაპიტალის ბაზართან დაკავშირებული ინდიკატორები, ასევე ადგილობრივი სახელმწიფო ვალის, სააქციო ბაზრის კაპიტალიზაციის, საფინანსო სექტორში არასაბანკო სექტორის, საპენსიო და სადაზღვევო კომპანიების წილისა და საერთაშორისო პორტფელური ინვესტიციების მიმართულებები განიხილა.
- სეკიურიტიზაციის საკანონმდებლო ჩარჩოს გარშემო გამართული დისკუსია რეფორმის მიმდინარე აქტივობებისა და განხორციელებული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის შედეგების განხილვას დაეთმო. ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა, სამართლებრივი ჩარჩოს მიღების მოსალოდნელ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება. მომხსენებელმა, საფინანსო და არა-საფინანსო სექტორებისთვის დამატებითი ფინანსების მოზიდვის შესაძლებლობასა და უფრო ხელმისაწვდომი სესხების ხელშეწყობის მიმართულებაზე ისაუბრა. დამატებით, ოპერაციათა კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, ლევან ფავლენიშვილმა, აღნიშნული ინსტრუმენტის შემოღების მოსალოდნელ დადებით შედეგებზე ისაუბრა. ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის მიხედვით, 10 წლიან პერიოდში, მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთის 0.8 პროცენტული პუნქტით შემცირება და მშპ-ს 0.4 პროცენტით ზრდა.
- უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების განვითარების საჭიროების განხილვისას, ნიკოლოზ გაგუამ, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, დანაზოგებისათვის დამატებითი საინვესტიციო ინსტრუმენტისა და უძრავი ქონების დარგში ინვესტიციების განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება. მომხსენებლის განცხადებით, მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების პროცესი და დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები ახლო მომავალში დაიწყება. უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდების განვითარების საკითხის გარშემო გამართული დისკუსიის დროს, გალტ ენდ თაგარტის დირექტორმა, კერძო სექტორის ჩართულობის სტიმულირებისათვის, ამ მიმართულებით საგადასახადო შეღავათების შემოღების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.
- საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში გამართული დისკუსიის დროს, მხარეებმა, ასევე კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით არსებული გამოწვევები განიხილეს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად, მეორადი ბაზრის განვითარებლობა დასახელდა. აღინიშნა, რომ კომპანიები უფრო აქტიურად ბირჟაზე პირველადი შეთავაზებების განთავსების პროცესში მონაწილეობენ და მათი აქტიურობა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის მიმართულებით შედარებით დაბალია.

- დამატებით, შეხვედრაზე გამოითქვა რეკომენდაცია, კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და სტრატეგიის პროგრესის შეფასების ინდიკატორებში უცხოურ ვალუტაში გამოშვებული ობლიგაციების გათვალისწინების საჭიროებაზე.


## **კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის შეფასების ინდიკატორები**

კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით, „რეფორმეტრის“ გუნდის მიერ შერჩეული ინდიკატორები მოიცავს კაპიტალის ბაზრის განვითარების 2023-2028 წლების სტრატეგიაში განსაზღვრული გავლენის ინდიკატორებისა და ამოცანის შედეგების ინდიკატორების ანალიზს. ინდიკატორების შერჩევას დამატებით გათვალისწინებული იყო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მონაცემების განახლების შესაძლებლობის მიმართულებები. შერჩეულ ინდიკატორებზე დაკვირვებისათვის საჭირო მონაცემები მოძიებულია საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საფონდო ბირჟის, საქსტატის, საპენსიო სააგენტოსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წყაროებიდან. ინდიკატორების პირველი ნაწილი უკავშირდება სტრატეგიის პირველ მიზანს, კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, ხოლო მეორე ნაწილი - ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის კაპიტალის სტიმულირების მიმართულებას.

### **1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა**

კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ გავლენის ინდიკატორს მთლიან სახელმწიფო ვალში საშინაო ვალის წილი წარმოადგენს. ინდიკატორი მოიცავს პერიოდის ბოლოს სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთის შეფარდებას სახელმწიფოს მთლიანი ვალის ნაშთთან (ევრობონდი, საგარეო ვალი და საშინაო ვალი). ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ მთლიან სახელმწიფო ვალში, საგარეო ვალის დომინანტური წილი, ხელს უშლის სახელმწიფო ობლიგაციების ადგილობრივი ბაზრის განვითარებას და ზღუდავს ადგილობრივ ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიასა და მეორად ბაზარზე მათ ლიკვიდურობას. გრაფიკი 1-ის მიხედვით, 2021 წელს, საშინაო ვალის წილი 19%-ს შეადგენდა. 2023 წლის აპრილის თვის მონაცემით, საშინაო ვალის წილი 26%-მდე გაიზარდა. 2021-2023 წლების პერიოდში, საშინაო ვალის წილის ზრდა დაკავშირებულია საშინაო ვალის 27.5%-იან მატებასა და ამავდროულად, საგარეო ვალის მაჩვენებლის 16%-იან კლებასთან. სტრატეგიის მიხედვით, 2025 წლისათვის, საშინაო ვალის წილის სამიზნე მაჩვენებელს 29% წარმოადგენს.


**გრაფიკი 1. სამინაო სახელმწიფო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში**



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით, პროგრესის შეფასების კიდევ ერთ გავლენის ინდიკატორს მშპ-სთან მიმართებით, ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთი წარმოადგენს. ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების მაჩვენებელში გათვალისწინებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებიც. ამ მიმართულებით, ხაზგასასმელია, რომ არასახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი ძირითადად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან შედგება. 2023 წლის აპრილში, ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების 2.6 მილიარდი ლარის ოდენობის ნაშთიდან, 82%-ს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციები წარმოადგენდა. 2021-2022 წლების პერიოდში, ამ მიმართულებით, დადებითი ტენდენცია გამოიკვეთა და ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთის წილი მშპ-ში 2.87%-დან 3.23%-მდე გაიზარდა. 2025 წლისათვის, აღნიშნული ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელს 5%, 2028 წლისათვის კი - 10.5% წარმოადგენს. არასახელმწიფო ობლიგაციების ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს კომპანიების ეკონომიკური აქტივობის დაფინანსების დამატებითი წყაროს შექმნას და ეკონომიკის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების მობილიზებას.

**გრაფიკი 2. ლარში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთი მშპ-სთან მიმართებით**



წყარო: ეროვნული ბანკი, საქსტატი

კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის კიდევ ერთ ინდიკატორად განსაზღვრულია დალისტული აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებლები. იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წლის მონაცემები ამ მიმართულებით საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი, „რეფორმეტრის“ გუნდის მიერ ინდიკატორად მშპ-სთან მიმართებით საფონდო ბირჟის ჯამური კაპიტალიზაციის

მაჩვენებელი შეირჩა. ცხრილი 3-ის მიხედვით, 2018-2020 წლების პერიოდში, საფონდო ბირჟის ჯამური კაპიტალიზაციის 20%-იანი ზრდის საფუძველზე, განვითარების დადებითი ტენდენცია იკვეთება. 2021-2022 წლებში კი, საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის ოდენობის კლების შედეგად, მისი წილი მშპ-ში 0.8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული (3.9%-დან 3.2%-მდე). სტრატეგიის მიხედვით, დალისტული აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის წილი მშპ-ში, 2025 წლისათვის 6.5%-მდე, ხოლო 2028 წლისთვის 9%-მდე უნდა გაიზარდოს. იმის გათვალისწინებით, რომ სააქციო კაპიტალის ბაზარი კერძო სექტორისთვის დაფინანსების მნიშვნელოვან ალტერნატიულ წყაროს უნდა წარმოადგენდეს, ამ ეტაპზე, საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციის უარყოფითი დინამიკა, განვითარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის ეფექტიანი მობილიზების მიმართულებით არსებული გამოწვევების მიმანიშნებელია.

**ცხრილი 3. საფონდო ბირჟის ჯამური კაპიტალიზაცია მშპ-სთან მიმართებით (მლნ. ლარი)**


	2018	2019	2020	2021	2022
ჯამური კაპიტალიზაცია	1,963	1,963	2,366	2,368	2,290
მშპ	44,599	49,253	49,267	60,003	71,754
წილი მშპ-ში	4.4%	4.0%	4.8%	3.9%	3.2%

წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა, საქსტატი

**1.1. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება**

დამატებით, ამოცანა 1.1.-ის ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარების შედეგის ინდიკატორად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი ვადიანობის მაჩვენებელია განსაზღვრული. გრაფიკი 3-ის მიხედვით, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, ვადიანობის მაჩვენებლის მცირე კლების შემდეგ, 2023 წლის მაისის მაჩვენებელი, 2021 წლის მაჩვენებელს მიუახლოვდა და საშუალოდ 33 თვიდან, 36 თვემდე გაიზარდა. ამასთანავე, ხაზგასასმელია, რომ სტრატეგიით განსაზღვრულია, ობლიგაციების საშუალო ვადიანობის ზრდაზე მიმართული პოლიტიკის გატარება. სახელმწიფოს მხრიდან, დიდი მოცულობის გრძელვადიანი ობლიგაციების ემისიის მიზანს, საერთაშორისო სახელმწიფო სასესხო ინდექსებში ქვეყნის მოხვედრა და არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. სტრატეგიით 2025 წლისათვის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საშუალო ვადიანობის 3.5 წლამდე და 2028 წლისათვის 4 წლამდე ზრდა წარმოადგენს.

**გრაფიკი 3. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი ვადიანობა**



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




## 1.2. ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში ჩატარებულ შეხვედრაზე, კაპიტალის ბაზრის განვითარების მთავარ გამოწვევად, სააქციო ბაზრის განვითარების დაბალი დონე დასახელდა, რეფორმის შედეგებზე დაკვირვების მიმართულებით, მნიშვნელოვანია აქციების ბრუნვის მაჩვენებლის შეფასება. ამოცანა 1.2-ის ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარების შედეგის ინდიკატორი აქციების ბაზარზე ლიკვიდურობის ამსახველია და გამოითვლება საფონდო ბირჟის ვაჭრობის სესიაზე გაკეთებული გარიგებების ღირებულების, საფონდო ბირჟის მთლიანი საბაზრო კაპიტალიზაციის საშუალო მაჩვენებელთან შეფარდებით.

გრაფიკი 4-ის მიხედვით, 2018 წლიდან, აქციების ბრუნვის მაჩვენებელი მინიმალურია და უარყოფითი ტენდენციით ხასიათდება. 2018-2022 წლებში, შემცირებულია, როგორც საფონდო ბირჟის ვაჭრობის სესიაზე გაკეთებული გარიგებების ღირებულებები (95%-იანი კლება), ასევე საბაზრო კაპიტალიზაციის საშუალო მაჩვენებელი (11%-იანი კლება). ამ მიმართულებით, საკმაოდ ამბიციურია სტრატეგიით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც 2025 წლისათვის, აქციების ბრუნვის მაჩვენებლის 1.27%-მდე, ხოლო 2028 წლისათვის, 2.2% ზრდას ისახავს მიზნად.


### გრაფიკი 4. აქციების ბრუნვის მაჩვენებელი



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟა

